განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

24-25-26 მარტი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

21 მაისი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მერვე საფეხური (სადოქტორო)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	გარემოსმცოდნეობა 0521
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი - 42 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ციცინო თურქაძე, აწსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიასამიძე, ბსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლომთათიძე, ბსუ. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ლობჯანიძე, საქართველოს უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა არის ინგლისური. ამ პროგრამაზე დაწესებულებას აქვს შესაბამისი ნებართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან (MES 5 20 0001200843, 15.12.2020).

2011 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს ეკოლოგიის ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა, რომლის გარკვეულ გაგრძელებას წარმოადგენს აღნიშნული ინგლისურენოვანი პროგრამა, რადგან ქართულენოვანი პროგრამის განხორციელების გამოცდილება, წარმოებული კვლევები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკადემიური პერსონალი და ამ ეტაპზე პროგრამაზე რიცხული სტუდენტები ჩართული იქნება ახალი ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის მიმართ გამოყენებულია უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის (განმახორციელებელი პერსობალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას. სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია უცხოელი კონსულტანტების აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“ მეთოდით. 2021 წლის 24-25-26 მარტს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ინტერვიუირება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 2021 წლის 24 მარტს (სამუშაო დღის გარკვეულ მონაკვეთში).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს აჩვენა და წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- ექსპერტთა ჯგუფის მუშაობისა და ჩატარებული შეფასების შედეგად აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სადოქტორო პროგრამის განხორციელება ხდება ინგლისურ ენაზე და პროგრამის მიზნები საერთაშორისო დონის სპეციალისტის მომზადებაზეა ორიენტირებული.

პროგრამის მიზანია ეკოლოგიის და ბიომრავალფეროვნების სფეროში განხორციელებული ინოვაციური კვლევის შედეგად ახალი ცოდნის შექმნა და მისი ტრანსფერი საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში, რაც წვლილს შეიტანს გარემოსდაცვითი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების უკეთ გაცნობიერებაში ან ეკოლოგიის და ბიოლოგიური მრავალფეროვნების ფუნდამენტური საკითხების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია პროგრამის წარმმართველი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან 2019-2024, სადაც გაცხადებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება.

პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მერვე საფეხურის აღმწერს, წარმოადგენს შინაარსით გათვალისწინებულ იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობას, რასაც მიაღწევს პროგრამის კურსდამთავრებული - ეკოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციით.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რომელიც შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. სასწავლო კურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6. სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე დოქტორანტების ჩართვას პროგრამაში. პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგი მიმართულებებით: ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები; გარემო; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ინტერდისციპლინური).

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შესაბამისობაშია 2.1 კომპონენტის მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა პროგრამამ გააფართოოს მიღების წინაპირობებში მოცემული სამაგისტრო ხარისხის კვალიფიკაციების ჩამონათვალი. ამის ნათელი დასტურია ქართულენოვანი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის ძალიან წარმატებული კურსდამთავრებული (ამჟამად ილიაუნის მკვლევარი, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის სტიპენდიანტი-მკვლევარი, პასკალის პრემიის

ლაურიატი,), რომელსაც დამთავრებული აქვს გარემოს დაცვის ინჟინერიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალის გაფართოება.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სადოქტორო სწავლების საფეხურს. პროგრამის სასწავლო კომპონენტების სავალდებულო მოცულობაა 42 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3-5 წელი (6-10 სემესტრი).

წარმოდგენილი პროგრამა, სადოქტორო სწავლების საფეხურისა და დასახული სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების გამომუშავებას. აღნიშნული მიიღწევა როგორც სასწავლო კურსებით, ასევე კვლევითი კომპონენტით - სადოქტორო ნაშრომით.

დოქტორანტის უნარების განვითარებას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში უზრუნველყოფს სასწავლო კურსი - ასისტირება. წარმოდგენილი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის - „აქვს სწავლებაში ეფექტური სტრატეგიებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენების უნარი“ მიღწევას. სწავლების ასისტირების დაწყებამდე პროგრამის მოთხოვნაა დოქტორანტმა გაიაროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი. აღნიშნული ცენტრის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმაში არ არის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რამაც გარკვეული დაბრკოლება შეიძლება შეუქმნას ინგლისურენოვან სტუდენტს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებულ იქნას ცენტრის სასწავლო კურსებში (განსაკუთრებისთ შემდგომი წლების სამოქმედო გეგმაში, 2021 წლის შემდეგ) და პროგრამის დოქტორანტებისათვის შეთავაზებულ იქნას შესაბამისი კურსები ინგლისურ ენაზეც.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები, რომლებიც თეორიული სასწავლო პროცესის პარალელურად ასევე ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობასაც, რაც მისასალმებელია, ვინაიდან სტუდენტთათვის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით და ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით. პერსონალი

ფლობს დარგის უახლესი ინფორმაციასა და აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კვლევებში, ღონისძიებებში, ერთობლივ პროექტებსა და პროგრამებში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო მაჩვენებლები *Scopus*, *Google Scholar, Web of Science*-ის ბაზებში, რითაც დადასტურდა მათი მიღწევები და კომპეტენციები, რომლებიც საკვანძოა მოცემული ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის.

აკადემიური პერსონალის შეფასებისათვის გამოყენებული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში — სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით (მათ შორის, ლაბორატორიებით). უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს წარმოდგენილი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის (ინგლისურენოვანი) მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარებულია მოცულობითი სამუშაოები პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და განსაზღვრის, მიღწევის შეფასებისა და მონიტორინგისათვის, ამ პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების გათვალისწინებისათვის. სამუშაოები დაეფუძნა ეკოლოგიის სადოქტორო ქართულენოვანი პროგრამის 10-წლიან გამოცდილებას და ამ პერიოდში გატარებულ ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაოებს.

წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი აღწერები და შეფასებები ადასტურებს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ნაყოფიერ და აქტიურ თანამშრომლობას პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დაკავშირებულია თითოეული სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და ცალკეული ინდიკატორების მიხედვით შეფასებასთან და ამ შეფასების შედეგების შემდგომ გამოყენებასთან. ამ პროცესებში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებად იყენებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს, რომელსაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოყენებულია გარე შეფასება დარგის უცხოელი პროფესორებისა და მკვლევარების (გერმანია, თურქეთი) მონაწილეობით. მათი შეფასებები და რჩევები გაზიარებულია პროგრამის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია უცხოელი კონსულტანტების აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით და ეფუძნება ხარისხის მართვაში გამოყენებულ თანამედროვე სტანდარტებს. შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა პერიოდული მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.

რეკომენდაციები

2.3 კომპონენტი

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) მიერ ინგლისურენოვანი პროგრამის დოქტორანტებისათვის შეთავაზებულ იქნას შესაბამისი კურსები ინგლისურ ენაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.1 კომპონენტი

- სასურველია უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად ასეთი დამატებებით: ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811) მებაღეობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყევეობა (082). აღნიშნული გაუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. **კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა,** რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლიდან მოქმედებს. სკოლის მისიაა მაღალხარისხიანი სტრუქტურული სადოქტორო განათლების ეფექტური მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აღნიშნული სადოქტორო სკოლა, უნივერსიტეტის დოქტორანტების ტრანსფერული თუ კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, იყენებს სხვადასხვა მექანიზმებსა და შესაძლებლობებს, მათ შორის განსაკუთრებულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მობილობაზე ორიენტირებულობა. ამ გზით ხორციელდება უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების ინდივიდუალურ მხარდაჭერა.
2. **ქართულენოვანი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღწევები,** რაც გამოიხატება წარმატებულ კურსდამთავრებულებში, ეროვნულ და/ან საერთაშორისო მასშტაბით ხილვადი კვლევების განხორციელებაში (რომლებიც მიმდინარეობს ილიაუნის კვლევით ინსტიტუტებთან ინტეგრირებით) და მზარდ ინტერნაციონალიზაციაში. პროგრამის ხელმძღვანელის ირგვლივ გაერთიანებული სამეცნიერო კვლევებში ჩართული გუნდი, რომელსაც აქვს ერთობლივი მუშაობის მდგრადი პრაქტიკა და სინერგია. ამ გუნდის შემადგენლობაშია ქართულენოვანი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებიც, რომლებიც მუშაობენ მკვლევარებად და/ან აკადემიურ პერსონალად და არიან მზარდი პოტენციალის ახალგაზრდა მეცნიერები. პროგრამის 10 წლიანი განხორციელების პერიოდში მიღწეული აღნიშნული შედეგები და მდგრადი პრაქტიკა გახდა მყარი საფუძველი წარმოდგენილი ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავებისათვის, რაც ამ პროგრამის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის განხორციელება ხდება ინგლისურ ენაზე და პროგრამის მიზნები საერთაშორისო დონის სპეციალისტის მომზადებაზეა ორიენტირებული. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია პროგრამის წარმმართველი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან 2019-2024, სადაც გაცხადებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება. პროგრამის მიზანია ეკოლოგიის და ბიომრავალფეროვნების სფეროში განხორციელებული ინოვაციური კვლევის შედეგად ახალი ცოდნის შექმნა და მისი ტრანსფერი საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში, რაც წვლილს შეიტანს გარემოსდაცვითი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების უკეთ გაცნობიერებაში ან ეკოლოგიის და ბიოლოგიური მრავალფეროვნების ფუნდამენტური საკითხების განვითარებაში. სადოქტორო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს მაღალი სტანდარტის ეკოლოგიური კვლევის ჩატარების, სწავლებისა და მენტორობის შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას როგორც აკადემიურ სივრცეში, ასევე ეკოლოგიური პროფილის არასამთავრობო, საჯარო და კერძო სექტორში. 2011 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს ეკოლოგიის ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა, რომლის გარკვეულ გაგრძელებას წარმოადგენს აღნიშნული ინგლისურენოვანი პროგრამა, რადგან ქართულენოვანი პროგრამის განხორციელების გამოცდილება, წარმოებული კვლევები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკადემიური პერსონალი და ამ ეტაპზე პროგრამაზე რიცხული სტუდენტები ჩართული იქნება ახალი ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანი შეესაბამება საერთაშორისო თანამედროვე ტენდენციებს, რაც დამატებითად უზრუნველყოფილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და გიოტინგენის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტით, რომელიც ითვალისწინებს ორმაგი ხარისხის მინიჭებას და ფინანსდება ფოლქცვაგენის ფონდის მიერ. აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიის მიმართულებით ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი კურსდამთავრებულისთვის მოხდა ორმაგი ხარისხის მინიჭება (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და გენტის უნივერსიტეტის მიერ) და ამჟამად ის პოსტ-სადოქტორო პროექტზე მუშაობს ბონის ზოოლოგიურ კვლევით მუზეუმში (ZFMK). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სადოქტორო პროგრამა თანხვედრაშია დარგში და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან. პროგრამის ორიენტაციას დასაქმების ბაზარზე აძლიერებს ის გარემოება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონის კვლევით პროექტებში, აგრეთვე მჭიდროდ თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ეწევა საექსპერტო საქმიანობას. შესაბამისად, ისინი იცნობენ სფეროში არსებულ თანამედროვე

ტენდენციებსა და გამოწვევებს.

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და განვრცობილი იქნება სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების საშუალებით.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუირებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- საერთაშორისო კავშირები და კვლევითი პროექტები
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მერვე საფეხურის აღმწერს, წარმოადგენს შინაარსით გათვალისწინებულ იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობას, რასაც მიაღწევს პროგრამის კურსდამთავრებული - ეკოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციით.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რომელიც შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური პერსონალის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ასევე მოხდა უცხოელი პროფესორებისა და მკვლევარების (გერმანია, თურქეთი) მიერ.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი). პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რაც ჩამოყალიბებულია ლოგიკურად, განსაზღვრულია ამ სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტი და დროის პერიოდი (სემესტრი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; • უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; • ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე დოქტორანტების ჩართვას პროგრამაში. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია: – მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგი მიმართულებებით: ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები; გარემო; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ინტერდისციპლინური); – სადოქტორო კვლევითი განაცხადი; – ზეპირი გამოცდის ჩაბარება. – ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით ან ინგლისურ ენაში გამოცდის ჩაბარებით უნივერსიტეტში. შესაბამისად, პროგრამაზე მირების წინაპირობები ემსახურება შესაბამისი მზაობის პირების ჩარიცხვას სადოქტორო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შესაბამისობაშია 2.1 კომპონენტის მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა პროგრამამ გააფართოოს მიღების წინაპირობებში მოცემული სამაგისტრო ხარისხის კვალიფიკაციების ჩამონათვალი. ამის ნათელი დასტურია ქართულენოვანი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის ძალიან წარმატებული კურსდამთავრებული - გ. ჩ. (დამთავრებული აქვს სტუ-ს გარემოს დაცვის ინჟინერიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამა) და იყო კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის სტიპენდიანტი-მკვლევარი და პასკალის პრემიის ლაურიატი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია მიღების გამოცხადების წინ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; • ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად ასეთი დამატებებით: ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო

სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811) მებაღეობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყევეობა (082). აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება პრაქტიკაში მდგრადადაა დანერგილი. წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სადოქტორო სწავლების საფეხურს. პროგრამის სასწავლო კომპონენტების სავალდებულო მოცულობაა 42 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3-5 წელი (6-10 სემესტრი). პროგრამის კვლევითი პროფილი მოიცავს ეკოლოგიურ და ბიომრავალფეროვნების კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: საქართველოს და კავკასიის რეგიონის ცხოველების, მცენარეების და სხვა ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნების შესწავლას და ბიომრავალფეროვნების განაწილების კანონზომიერებებს; სახეობათა კონსერვაციასთან დაკავშირებულ კვლევებს; ევოლუციურ-ეკოლოგიურ და ბიოგეოგრაფიულ კვლევებს; საქართველოს მცენარეების ჰაბიტატების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაციის კვლევას; კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად ალპური მცენარეულობის ტრანსფორმაციის გამოვლენას; ალპურ მცენარეულობაზე და ჰაბიტატებზე ანთროპოგენური ზემოქმედების შესწავლას; კულტურულ მცენარეთა და მათი ველური ნათესავების მრავალფეროვნების შესწავლას; ცხოველების როლს ეპიდემიების გავრცელებაში. კვლევები ტარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის, ზოოლოგიის და ბოტანიკის კვლევით ინსტიტუტებში. სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მოეთხოვება მინიმუმ ორი პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ

ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus და/ან Claryvate Analytics 0.5-ზე უფრო მაღალი იმპაქტ ფაქტორით/CiteScore.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული კურსის სილაბუსში/კონცეფციაში მითითებულია კომპონენტის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები, მათ შორის, ლიტერატურა. სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და კვლევებს.

სასწავლო კურსებში წარმოდგენილია სადოქტორო სემინარების (სულ - 12 კრედიტი) სერიით. თითოეული სემინარი 6 კრედიტიანია. სადოქტორო სემინარების ფარგლებში

დოქტორანტები პროსპექტუსზე მუშაობენ ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელებთან ერთად. პროსპექტუსის მონახაზი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღების განაცხადში წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე. მისი დაცვა ხდება მეორე სემესტრის ბოლოს.

პროგრამაში გათვალისწინებულია აკადემიურ წერასთან დაკავშირებული უნარების განმავითარებელი კურსი - ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია (6 კრედიტი), რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ხელშეწყობას საერთაშორისო პუბლიკაციის და საგრანტო განაცხადის მომზადების პროცესში.

პროსპექტუსის დაცვის შემდეგ, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი. კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტები წინასწარ შეთანხმებული კვლევის გეგმის შესაბამისად, გარკვეული პერიოდულობით (სემესტრში ერთხელ) წარადგენენ თავიანთი კვლევების შედეგებს პროგრამაში ჩართული პროფესორების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დოქტორანტების (მათ შორის მომიჯნავე დისციპლინების სადოქტორო პროგრამებიდან) წინაშე და იღებენ მათგან უკუკავშირს.

დოქტორანტის უნარების განვითარებას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში უზრუნველყოფს სასწავლო კურსი - ასისტირება. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, უძღვება აკადემიური კურსის კომპონენტს, როგორც ლექტორი/ტუტორი; შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/ თანახელმძღვანელობას, რეცენზირებას.

წარმოდგენილი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის - „აქვს სწავლებაში ეფექტური სტრატეგიებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენების უნარი“ მიღწევას. სწავლების ასისტირების დაწყებამდე პროგრამის მოთხოვნაა დოქტორანტმა გაიაროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცენტრის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმაში არ არის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რამაც გარკვეული დაბრკოლება შეიძლება შეუქმნას ინგლისურენოვან სტუდენტს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებულ იქნას ცენტრის სასწავლო კურსებში (განსაკუთრებისთ შემდგომი წლების სამოქმედო გეგმაში, 2021 წლის შემდეგ) და პროგრამის დოქტორანტებისათვის შეთავაზებულ იქნას შესაბამისი კურსები ინგლისურ ენაზეც.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობას, კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადანაწილებულია ადეკვატურად და მაქსიმალურად ითვალისწინებს კომპონენტების სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება;
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) საოპერაციო გეგმა 2017-2021.
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები: • უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) მიერ დოქტორანტებისათვის შეთავაზებულ იქნას შესაბამისი კურსები ინგლისურ ენაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამა, სადოქტორო სწავლების საფეხურისა და დასახული სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების გამომუშავებას. აღნიშნული მიიღწევა როგორც სასწავლო კურსებით, ასევე კვლევითი კომპონენტით - სადოქტორო ნაშრომით. სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება იწყება სადოქტორო კოლოკვიუმების სერიით, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. დოქტორანტები სწავლების დამამამთავრებელ ეტაპზე ამზადებენ სადისერტაციო ნაშრომს, ხოლო სადოქტორო კვლევის ფარგლებში შექმნილი ახალი ცოდნის ვალიდობის დადასტურებას და დისემინაციას ახდენენ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებით (სულ მცირე 2) საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემებში. სადოქტორო პროგრამაში ჩართულია დარგის როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მაღალკვალიფიციური მკვლევრები. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტებს კვლევის განხორციელებაში თანახელმძღვანელობას გაუწევენ პარტნიორი ორგანიზაციის მკვლევრები და უცხოელი კოლეგები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლიდან მოქმედებს კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომლის მისიაც არის მაღალხარისხიანი სტრუქტურული სადოქტორო განათლების ეფექტური მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აღნიშნული სადოქტორო სკოლა, უნივერსიტეტის დოქტორანტების ტრანსფერული თუ კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, იყენებს სხვადასხვა მექანიზმებსა და შესაძლებლობებს, მათ შორის განსაკუთრებულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მობილობაზე ორიენტირებულობა. ამ გზით ხორციელდება უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების ინდივიდუალურ მხარდაჭერა. ამ სადოქტორო სკოლაში წარმატებულად მონაწილეობდა ეკოლოგიის მიმართულების ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამის სტუდენტი,

რომელმაც კვლევითი სამუშაო შეასრულა ახალგაზრდა მკვლევრის საგრანტო დაფინანსების პროგრამის ხელშეწყობით და გოტინგენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. სტუდენტები ჩართულები არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში როგორც საველე სამუშაოების, ასევე კვლევითი ინსტიტუტის ბაზების გამოყენებით. აღნიშნული პროექტების ფარგლებში სრულდება სასწავლო კომპონენტებში გათვალისწინებული მრავალფეროვანი კვლევითი პროექტები და სადოქტორო ნაშრომები. ასეთი აქტივობებისათვის გამოყენებულია საველე კვლევითი ბაზები - საქართველოს მაღალმთიანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ლანდშაფტში, კვლევითი გემი, რომლის გამოყენებითაც იწარმოება შავი ზღვის ფაუნის, ფლორისა და გეოლოგიის კვლევები. პროგრამის არჩევით სასწავლო კომპონენტებში წარმოდგენილია კურსები, რომლის სწავლების ერთ-ერთი ფორმაა - საველე პრაქტიკა, რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აქტივობებისათვის გამოყენებულია საველე კვლევითი ბაზები - საქართველოს მაღალმთიანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ლანდშაფტში, კვლევითი გემი, რომლის გამოყენებითაც იწარმოება შავი ზღვის ფაუნის, ფლორისა და გეოლოგიის კვლევები. საველე პრაქტიკის ორგანიზებას, ტრანსპორტირებას და ბაზებზე განთავსებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. პრაქტიკის გავლის პერიოდში და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს და აფასებს დარგის კვალიფიციური პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა • უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტები • განხორციელებული და მიმდინარე საერთაშორისო კვლევითი პროექტები • ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლიდან მოქმედებს კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომლის მისიაა მაღალხარისხიანი სტრუქტურული სადოქტორო განათლების ეფექტური მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აღნიშნული სადოქტორო სკოლა, უნივერსიტეტის დოქტორანტების ტრანსფერული თუ კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, იყენებს სხვადასხვა მექანიზმებსა და შესაძლებლობებს, ორიენტირებულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მობილობაზე. ამ გზით ხორციელდება უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების ინდივიდუალური მხარდაჭერა, რაც ეფექტურად უწყობს ხელს მათ პრაქტიკულ/შემოქმედებით/კვლევით და სამეცნიერო უნარების განვითარებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება სწავლა-სწავლების მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკა აკრედიტებული პროგრამის არსებობის მანძილზე კიდევ უფრო იხვეწება და ვითარდება. უნივერსიტეტში დადგენილია და პრაქტიკაში გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიდგომები. ამ შემთხვევებში გაითვალისწინება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და აკადემიური მომზადება. საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე "არგუსის" ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებთ, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსების სილაბუსები • სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია • ასისტირების კონცეფცია • სადოქტორო კოლოქვიუმის კონცეფცია • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის რეგულაციები, შეფასების დადგენილი პროცედურები და ელექტრონული სისტემები უზრუნველყოფს სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობას. სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული სტუდენტების შეფასება მრავალკომპონენტიანია, თითოეული კომპონენტისათვის განსაზღვრულია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმები და რუბრიკები, რომელიც გამოიყენება შეფასების პროცესისათვის.

შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულია: საკვლევი პრობლემის/საკითხის აქტუალურობა, კვლევის მიზნის, საკვლევი კითხვის/კითხვების (ჰიპოთეზის) რელევანტურობა; დისერტაციის კონტრიბუცია ახალი ცოდნის შექმნაში; მეთოდოლოგია; შედეგების/მიგნებების ანალიზი და დასკვნების რელევანტურობა; ნაშრომის სტრუქტურა, აკადემიური სტილი, მასალის წარმოჩენა.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება დისერტანტის მიერ ნაშრომის დაცვით, რომელიც არის საჯარო. ნაშრომის წარდგენა და ზეპირი დაცვა ხდება სპეციალურად შექმნილი სადისერტაციო კომისია. ნაშრომის დაცვამდე გათვალისწინებულია წინასწარი პროცედურები, რაც ითვალისწინებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, რეცენზენტების, სადისერტაციო საბჭოს ჩართულობას შეფასების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

პროგრამის განხორციელების პრაქტიკაში გამოყენებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სტუდენტების გამოკითხვას და მათგან უკუკავშირის მიღებას კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. გამოკითხვების შედეგად დგინდება, რამდენად ინფორმირებული იყო წინასწარ სტუდენტი შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები სისტემა "არგუსში", იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს, რის შემდეგაც შესაბამისი პროცედურებით იქმნება საპრეტენზიო კომისია და განიხილება კონკრეტული შემთხვევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • სასწავლო კურსების სილაბუსები • სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია • ასისტირების კონცეფცია • სადოქტორო კოლოქვიუმის კონცეფცია • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, დოქტორანტებს უფორმდებათ ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი სწავლის პირობები და მხარეთა ვალდებულებები. აღსანიშნავია, რომ უსდ-ში გამოყოფილია კოორდინატორი დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების სასწავლო პროცესის ეფექტური კოორდინირების მიზნით. ასევე, ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას. პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ, დოქტორანტები რეგისტრირდებიან სისტემა "არგუსში" საიდანაც საშუალება ეძლევათ აირჩიონ პროგრამის ძირითადი და ელექტიური სასწავლო კურსები, გაეცნონ მიმდინარე და დასკვნით შეფასებებს, სილაბუსებს, სასწავლო მასალას და სხვ. ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ,,არგუსის" მეშვეობით მათ შეუძლიათ დანიშნონ კონსულტაციები ლექტორებთან/ პროგრამის ხელმძღვანელთან. პროფესორს შეტყობინების სახით მობილურ ტელეფონზე მისდის დოქტორანტის წერილი, რაც აიოლებს კომუნიკაციას და უზრუნველყოფს დროულ უკუკავშირს. კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტებისთვის ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის შექმნა ინფორმაციის გაცვლის, შეკრების, კვლევის შედეგების, მოხსენებების, კოლოკვიუმების ორგანიზებისა. კვლევებისთვის ფინანსური ხელშეწყობა/ სტიპენდიების მოძიებაში ხელშეწყობა. ზემოაღნიშნულს სტუდენტები და ლექტორები ინტერვიუირების დროს დადებითად აფასებდნენ და ხაზს უსვამდნენ კომუნიკაციის სიმარტივესა და მოქნილობას. შრომითი ხელშეკრულებები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებრობრივ მოვალეობებში ითვალისწინებს კონსულტაციებს პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული/ ლაბორატორიული/ ექსპერიმენტალური/ საველე და ა.შ. კომპონენტებთან დაკავშირებით. დოქტორანტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერა ხორციელდება უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის და განვითარების სამსახურების მხრიდან. სამსახურები კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ მიმდინარე ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების და გაცვლითი პროგრამების შესახებ დოქტორანტების ინფორმირებას. თავის მხრივ, საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს რომ მონაწილეობა მიუღიათ ისეთ გაცვლით პროგრამებში როგორიც არის ERASMUS+ და სხვ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის სფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტური პროექტების მიმართულებით წარჩინებული დოქტორანტების კონფერენციებისა თუ სხვა სახის ღონისძიებების დაფინასებას. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, დაწესდა პასკალის პრემია -

ფულადი ჯილდო, რომლის ოდენობა 3000 ლარია. პრემია გადაეცემა უსდ-სთან აფილირებულ ახალგაზრდა მეცნიერს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისთვის, რომელსაც ექნება სტატიის სახე. პრემიის მიმღებთა რიცხვი შეზღუდული არ არის.

უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვის ცენტრი, რომელიც ინფორმაციას აწვდის დოქტორანტებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის, სამეცნიერო, შემეცნებითი და სორტული ღონისძიებების, სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას პროექტების განხორციელებაში და საერთაშორისო პროექტებში. პროფესიული გამოცდილების ამაღლების მიზნით აორგანიზებს საჭირო სტუდენტურ პროექტებს, მასტერ კლასებსა თუ საჯარო ლექციებს.

ინტერვიუს დროს, დოქტორანტები და კურსდამთავრებულები ადასტურებდნენ, რომ სისტემატიურად იღებენ/ იღებდნენ შეტყობინებებს ზემოთ აღნიშნული შესაძლებების შესახებ ,,არგუსის" ან ელ. ფოსტის მეშვეობით და ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ/სარგებლობდნენ შეთავაზებული ბენეფიტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი";
- სილაბუსები და კონცეფციები
- პასკალის პრემიის დაწესების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება; ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში.
- კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება; ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება;
- სტუდენტური სერვისების სამსახურის დებულება;
- აკადემიური წერის ცენტრი http://writingcentre.iliauni.edu.ge/
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, დოქტორანტს ენიშნება ხელმძღვანელით, რომელიც არის უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, პროფესორ-ემერიტუსი, რომელსაც აქვს დოქტორის

აკადემიური ხარისხი, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი. დასაშვებია, დოქტორანტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი/ებიც, მ.შ უცხო ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. ორმაგი ხარისხის მინიჭების შემთხვევაში დოქტორანტს უნდა ჰყავდეს მინიმუმ 1 ხელმძღვანელი თითო ინსტიტუციიდან, რომელთა უფლებები და მოვალეობები დამატებითად გაწერილია კოტიუტელის ინდივიდუალურ ხელშეკრულებაში.

მოცემული მიდგომები სრულად იყო გამოყენებული ქართულენოვან ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაში, რაც ადასტურებს დაწესებულების მიერ დოქტორანტების კვალიფიციური ხელმძღვანელობის პრაქტიკის მდგრად გამოყენებას.

წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებრობრივ მოვალეობებში ითვალისწინებს კონსულტაციებს პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული/ ლაბორატორიული/ ექსპერიმენტალური/ საველე და ა.შ. კომპონენტებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტები. მთ შორისაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, ასევე სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია: – რეგულარული კონსულტაციები დოქტორანტურის სტუდენტებთან; დოქტორანტის პროგრესზე პერიოდულ უკუკავშირი, ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემა, კვლევის დიზაინსა და პროექტის მენეჯმენტში დახმარება. ასევე, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში დახმარებას. სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ რჩევების მიცემას. სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დასკვნას და უკუკავშირის წარმოდგენა.

ინტერვიუს დროს, ყველა დოქტორანტი და კურსდამთავრებული აღნიშნავდა, რომ თემის ხელმძღვანელთან შეხვედრები იყო სასარგებლო, სისტემატიური და ორგანიზებული. 2017 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულ და მოქმედ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დოქტორანტთა 80% (36 სტუდენტი) აცხადებს, რომ თემის ხელმძღვანელთან შეხვედრები სისტემატიური ხასიათისაა და ტარდება თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად.

შესაბამისად, დაწესებულებაში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტებს კვლევით პროცესში და უზრუნველყოფილია ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტური და ეფექტიანი მართვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- დოქტორანტების ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულ და მოქმედ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (2017)

• თვითშეფასების ანგარიში. • ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრეს (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები, რომლებიც თეორიული სასწავლო პროცესის პარალელურად ასევე ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობასაც, რაც მისასალმებელია, ვინაიდან სტუდენტთათვის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და პერსონალთან ინტერვიუს შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესორი. აქედან: 9 აფილირებული პროფესორი, 8 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, მათ შორის 2 უცხოელი პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ეკოლოგიის და ბიომრავალფეროვნების დარგში წამყვან მეცნიერს მაღალი ციტირების ინდექსით. მას აქვს მაღალი კვალიფიკაცია და სამეცნიერო გამოცდილება, რომელიც აუცილებელია სადოქტორო პროგრამის განვითარებისა და განხორციელებისთვის. ამჟამად აქტიურად ჩართულია საგრანტო პროექტებში, აქვს სამეცნიერო კოლაბორაცია ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან. მისი სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მათი პირადი საქმეებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით და ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით. პერსონალი ფლობს დარგის უახლესი ინფორმაციასა და აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კვლევებში, ღონისძიებებში, ერთობლივ პროექტებსა და პროგრამებში. აკადემიური პერსონალის აღნიშნული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო გარემოს, კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი უცხოელი პროფესორი, რომლებიც დარგის წამყვან მეცნიერებს წარმოადგენენ. პროგრამაში

ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ევროპის და აშშ-ის კვლევით და აკადემიურ დაწესებულებებში მიღებულ გამოცდილებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო მაჩვენებლები *Scopus*, *Google Scholar*, *Web of Science*-ის ბაზებში, რითაც დადასტურდა მათი მიღწევები და კომპეტენციები, რომლებიც საკვანძოა მოცემული ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის. ცხრილში წარმოდგენილია ასეთი გადამოწმების შედეგები:

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მაჩვენებლები *Scopus*-ში 6.04.2021-ის მდგომარეობით

აკადემიური პერსონალი	H-INDEX	TOTAL TIMES CITED
დ. თ. (პროგრამის ხელ-ლი)	14	512
ლ. მ.	14	328
ა. გ.	13	427
ქ. ბ.	7	88
ო. ა.	7	678
ზ. გ.	2	33
ნ. ზ.	4	89
ზ. კ.	24	5042
ნ. კ.	5	103
მ. მ.	2	22
მ. მ.	9	226
გ. ნ.	9	841
ზ. ჯ.	10	299
ბ. ჯ.	9	361
კ. ა.	2	24
ლ. დ.	14	1114

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია მისაღებ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში და დოქტორანტების რაოდენობა განისაზღვრება ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვით. აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებში, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის გარდა, გათვალისწინებულია ჩართულობა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში, დოქტორანტების კონსულტირება და მხარდაჭერა, ასევე პროგრამით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული საქმიანობა განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი წესებით (პროგრამის შექმნისა და განვითარების, პროგრამის განხორციელების შეფასების და პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შესახებ) და აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით.

პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესს. ხელმძღვანელები ასევე ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელების შეფასებაში პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექნიზმების გამოყენებით. პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ინსტუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებზე პროგრამის ხელმძღვანელები შეიმუშავებენ პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ახლდება სემესტრულად და განისაზღვრება მათზე დაკისრებული სასწავლო და/ან სამეცნიერო კვლევითი და სხვა ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება უნივერსიტეტში შემუშავებული შესაბამისი რეგულაციებით, კერძოდ: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონტინგენტის განსაზღვრის წესით. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებული წესის მიხედვით, ფაკულტეტს აქვს განსაზღვრული საკუთარი აკადემიური პერსონალის კვლევითი და სასწავლო საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც ადგენს პერსონალის ყოველწლიურ ვალდებულებებს კვლევით და სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ინტერვიუს შედეგით და მათი პირადი საქმეებით.

უნივერსიტეტში ლაბორატორიული უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს რეკრუტირებულ პერსონალს შესაბამისი სახის ტრენინგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები CV;
- აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
- *Scopus*, *Google Scholar*, *Web of Science*-ის სამეცნიერო ბაზების ინფორმაციები;
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

დაწესებულება 2011 წლიდან ახორციელებს ეკოლოგიის ქართულენოვან სადოქტორო პროგრამას და აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, რაც გამოიხატება წარმატებულ კურსდამთავრებულებში, ეროვნულ და/ან საერთაშორისო მასშტაბით ხილვადი კვლევების განხორციელებაში და მზარდ ინტერნაციონალიზაციაში. პროგრამის ხელმძღვანელის ირგვლივ გაერთიანებული სამეცნიერო კვლევებში ჩართული გუნდი, რომელსაც აქვს ერთობლივი მუშაობის მდგრადი პრაქტიკა და სინერგია. ამ გუნდის შემადგენლობაშია ქართულენოვანი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებიც, რომლებიც მუშაობენ მკვლევარებად და/ან აკადემიურ პერსონალად და არიან მზარდი პოტენციალის ახალგაზრდა მეცნიერები. პროგრამის 10 წლიანი განხორციელების პერიოდში მიღწეული აღნიშნული შედეგები და მდგრადი პრაქტიკა გახდა მყარი საფუძველი წარმოდგენილი ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავებისათვის, რაც ამ პროგრამის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიაუნში მოქმედებს პერსონალის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მოიცავს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. პროგრამაში ჩართული პერსონალის მიმართ უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და საჭიროების მიხედვით გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს. აკადემიური პერსონალის შეფასებისათვის გამოყენებული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში — სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის. პერსონალის მართვის საუნივერსიტეტო სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია ტრენინგის სისტემა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით. უნივერსიტეტში 2017 წლიდან მოქმედებს სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესებების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ამავე საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელიც ემსახურება კვლევითი და საგანმანანთელბლო პროცესების ხელშეწყობას. უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრები (ეკოლოგიის ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, ბოტანიკის ინსტიტუტი) წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში; ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან კოლაბორაციაში ახორციელებენ სამეცნიერო პროექტებს, მათ შორის, სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების ჩართულობით. ერთ-ერთი ასეთი პროექტია კავკასიის ბიომრავალფეროვნების ბარკოდირების (ტაქსონომიური და გენეტიკური შესწავლის) მასშტაბული პროექტი, (CaBOL) რომელიც დააფინანსა გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და რომელშიც მოხდება დოქტორანტების აქტიური ჩართვა. უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, ამ მიზნით უნივერსიტეტში

მოქმედებს კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის. აღსანიშნავია ასევე ის, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტის მკვლევრებს, რომლებიც ჩართულნი არიან მიმდინარე კვლევით პროექტებში. მკლევრები უნივერსიტეტის კვლევით საბჭოს ყოველწლიურ წარუდგენენ ანგარიშს კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ. უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ასევე ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო მობილობისათვის ERASMUS + პროგრამების ფარგლებში; ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება; • კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი; • სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი; • აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) საოპერაციო გეგმა - 2018-2021; • სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება • ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ეკოლოგია მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით (მათ შორის, ლაბორატორიებით). უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები რაოდენობრივად

და ხარისხობრივად უზრუნველყოფს წარმოდგენილი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის (ინგლისურენოვანი) მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებაში გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნივერსიტეტის კუთვნილი კვლევითი ბაზების რესურსები. სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის ინსტიტუტების და თბილისის ზოოპარკის ლაბორატორიულ რესურსებთან, კოლექციებთან და მონაცემთა ბაზებთან. ქალაქგარეთ არსებულ ბაზებთან (ყაზბეგი, გრიგოლეთი, დედოფლისწყარო, ახალდაბა, კვლევითი გემი და სხვ.)

უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ერთეულების აღჭურვილობის მოდერნიზაციის მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად აცხადებს ინსტიტუციური განვითარების პროექტების კონკურსს. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება პარტნიორი ორგანიზაციების (მაგ, ეროვნული ბოტანიკური ბაღის, ზოოპარკის, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, დაცული ტერიტორიების) რესურსიც.

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მოიცავს: სამკითხველო დარბაზებს; ჯგუფური მუშაობის სივრცეებს; მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს; კომპიუტერულ რესურსცენტრებს; შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს; წიგნსაცავებს და სხვა. ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა თუ სხვა ტიპის სივრცეებში. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს. აღნიშნული ფონდი საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლესი ტენდენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებას. ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად თავსდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს ახალი რესურსის ხელმისაწვდომობის შესახებ.

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები: Science Direct; Scopus; Clarivate Analytics; ISI Web of Knowledge; ProQuest Research; Library; ProQuest Dissertations & Theses Global და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიელურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის ბიბლიოთეკა და კვლევითი ერთეულები
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.
- ელექტრონული სწავლების პორტალი: http://elearning.iliauni.edu.ge/, Turnitin
- მემორანდუმები და მხარდაჭერის წერილი პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები;
- სერვისების შეფასების კვლევა;
- კვლევითი ინსტიტუტების (ეკოლოგიის, ზოოლოგის და ბოტანიკის) დებულებები.
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის კვლევა უნივერსიტეტის პრიორიტეტულ საქმიანობას წარმოადგენს. კვლევის ხელშეწყობის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია უნივერსიტეტში მოქმედი უფასო სადოქტორო პროგრამები, რომელთა ფინანსური უზრუნველყოფაც სრულად ხორციელდება უნივერსიტეტის სახსრებით. სადოქტორო პროგრამაზე სწავლა უფასოა საქართველოს მოქალაქეებისთვის, ხოლო უცხოელი დოქტორანტები გადაიხდიან უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გადასახადს, რაც პროგრამის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის „ეკოლოგია“ განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია, ვინაიდან უნივერისიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებულია უნივერისტეტის საერთო ბიუჯეტში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიაა 2019 – 2024 წლების მანძილზე კოორდინირებულად იმუშაონ ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციისთვის, რისთვისაც ფაკულტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური და კვლევით პერსონალის მიღწევების შესახებ ცნობადობის გაზრდას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის ინსტიტუტებს და კვლევით ცენტრებს აქვს დამატებითი საგრანტო მხარდაჭერა; აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესორების სამეცნიერო ღონისძებებში მონაწილეობის დაფინანსებას; უნივერსიტეტი პერიოდულად აცხადებს კვლევითი პროექტების და შიდასაუნივერსიტეტო ინსტიტუციური განვითარების კონკურსებს. პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები –
რეკომენდაციები: •

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მართვაში მონაწილეობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წარმოდგენილია სამსახურის ხელმძღვანელითა და ხარისხის განვითარების სპეციალისტებით. ხარისხის განვითარების სპეციალისტები ემსახურებიან გარკვეულ საფაკულტეტო მიმართულებებს, რაც უზრუნველყოფს მჭიდრო და მყისიერ კავშირს პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. ასეთი მიდგომების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარებულია მოცულობითი სამუშაოები პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და განსაზღვრის, მიღწევის შეფასებისა და მონიტორინგისათვის, ამ პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების გათვალისწინებისათვის. სამუშაოები დაეფუძნა ეკოლოგიის სადოქტორო ქართულენოვანი პროგრამის 10-წლიან გამოცდილებას და ამ პერიოდში გატარებულ ხარისხის

უზრუნველყოფის სამუშაოებს.

წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი აღწერები და შეფასებები ადასტურებს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ნაყოფიერ და აქტიურ თანამშრომლობას პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დაკავშირებულია თითოეული სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და ცალკეული ინდიკატორების მიხედვით შეფასებასთან და ამ შეფასების შედეგების შემდგომ გამოყენებასთან. ამ პროცესებში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი გასაუმჯობესებელ მხარეებზე, რაც ნათლადაა წარმოდგენილი როგორც თვითშეფასების აღწერილობით ნაწილში, რაც ასევე დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა 2019-2024
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებად იყენებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს, რომელსაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

აღნიშნული მიდგომა წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით რეალიზებული იყო 2012 წლიდან აკრედიტებული ეკოლოგიის ქართულენოვანი პროგრამით, რომლის გამოცდილებასაც ეყრდნობა წარმოდგენილი ინგლისურენოვანი პროგრამა.

წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოყენებულია გარე შეფასება დარგის უცხოელი პროფესორებისა და მკვლევარების (გერმანია, თურქეთი) მონაწილეობით. მათი შეფასებები და რჩევები გაზიარებულია პროგრამის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამის განახლებული ვერსია შემუშავებულია უცხოელი კონსულტანტების აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

მოცემული პროცესი და აკრედიტაციაზე პროგრამის ხელახალი წარდგენა ადასტურებს

დაწესებულების მიმართებას - რეგულარულად გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასება და მისი შედეგები პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სააკრედიტაციო განაცხადი, • წარმოდგენილი პროგრამის პაკეტი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა 2019-2024 • უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება • ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შეფასებისათვის დაწესებულება მოქმედებს შიდა ხარისხის კონცეფციის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში. კონცეფცია ეყრდნობა ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, ამასთან პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით და ეფუძნება ხარისხის მართვაში გამოყენებულ თანამედროვე სტანდარტებს. შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა პერიოდული მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები • კვლევის ინსტრუმენტები და ჩატარებული კვლევების ანგარიშები • ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

დანართი 1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ნუსხა, სადაც ნაჩვენებია სტუდენტთა ჩართულობის მაგალითები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ეკოლოგია (ინგლისურენოვანი), სადოქტორო

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ციცინო თურქაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ინგა დიასამიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ლომთათიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარიამ ლობჯანიძე

დანართი 1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ნუსხა, სადაც ნაჩვენებია სტუდენტთა ჩართულობის მაგალითები.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

<u>ეკოლოგიის მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები</u>

ქვემოთ ცხრილში ჩამოთვლილია რამოდენიმე მიმდინარე პროექტი (მრავალი პროექტი დასრულდა 2019-2020-ში, იმ პროექტების ფარგლებში შესრულდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები).ეს ჩამონათვალი არასრულია. გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, სტუდენტები ასევე ჩართულები არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით. აქვე ჩამოვთვლი რამოდენიმე უცხოურ ინსტიტუტს, რომელთანაც მიდის თანამშრომლობა წლების განმავლობაში, დამოუკიდებლად იმისა არსებობს თუ არა ფორმალური შეთანხმება. ესაა ბონის ზოოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი და ბიომრავალფეროვნების ცენტრი, გოეტინგენის უნივერსიტეტი, კობლენცის უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი (გერმანია); აიდაჰოს უნივერსიტეტი; მისურის ბოტანიკური ბაღი (აშშ); ტუშას უნივერსიტეტი (იტალია); ვარშავის ზოოლოგიის ინსტიტუტი (პოლონეთი); სტამბოლის, ზონგულდაკის, რიზეს და ჰაჯეტეპეს (ანკარა) უნივერსიტეტები (თურქეთი); ერევნის უნივერსიტეტი (სომხეთი); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია).

#	პროექტის სათაური	დამფინანსებელი	ხელმძღვანელი	სტუდენტები	პარტნიორი ინსტიტუტები	დასრულება
1	ერთიანი კავკასიური ბიომრავალფეროვნების კვლევის პლატფორმის შექმნის ქართულ-სომხურ-გერმანული ინიციატივა (CaBOL), reg. # 2006 ვებსაიტი https://ggbc.eu/contact/	BMBF (გერმანიის მთავრობა)		*ბაკალავრები* 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. *მაგისტრანტები* 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8.	1. ზოოლოგიის კვლევითი მუზეუმი კოენიგი (ბონი) 2. კობლენცის უნივერსიტეტი 3. გეტინგენის უნივერსიტეტი 4. აგრარული უნივერსიტეტი (თბილისი) 5. ზოოლოგიის ინსტიტუუტი (ერევანი) 6. ერევნის სახ. უნივერსიტეტი	2023 (მე-2 ფაზა)

				9. 10. 11. 12. გ *დოქტორანტი*		
2	„შავი ზღვის ვეშაპისნაირების აკუსტიკური კვლევა“ დაიწყო 2020 წლის დეკემბერში	ბრიტანული კომპანია Chelonia Limited www.chelonia.co.uk/ და ისუ		1. (ბაკალავრი) 2. მაგისტრანტი (დასადგენია) 3. დოქტორანტი	Chelonia Limited კომპანია; სტამბოლის უნივერსიტეტი, ორგანიზაცია „Mare Nostrum“, რუმინეთი; ორგანიზაცია “Green Balkan“; კიევის ზოოლოგიის ინსტიტუტი	განუსაზღვრელი
3	"გენომური ტექნოლოგიების განვითარება კავკასიის რეგიონში" (სარეგისტრაციო ნომერი 2169)	ფოლქსვაგენის ფონდი		(ბაკალავრი) (მაგისტრანტი) იგეგმება კიდევ 2 ბაკალავრის შერჩევა	ზოოლოგიის კვლევითი მუზეუმი კოენიგი (ბონი)	2022
4	Developing and testing a socio-ecological monitoring system for protecting large mammals in the southern Caucasus	გერმანიის მთავრობა		დოქტორანტი ; იგეგმება მაგისტრანტის აყვანა	Humboldt-University Berlin, Germany (HUB) Yerevan State University, Armenia (YSU) National Academy of Science Azerbaidjan WWF Germany WWF Caucasus Programme Office (WWF CauPO)	2024
5	„საქართველოს არიდული ჰაბიტატების კრიპტოგამები: მრავალფეროვნება, კონსერვაცია, პოტენციალი გაუდაბნოების მონიტორინგისათვის“ (2019-2022).	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის NFR-18-14169 გრანტი		(ბაკალავრი) (დოქტორანტი)		2022

6	სალმონიდები სამხრეთ კავკასიაში: კონსერვაციული სტატუსი, ტაქსონომია და გამოყენება თევზაობის მენეჯმენტში	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		(მაგისტრანტი) (დოქტორანტი) დაგეგმილია 2 მაგისტრანტის აყვანა	აიდაჰოს უნივერსიტეტი, აშშ	2022
7	ძაღლისებრთა შორის მიმდინარე ჰიბრიდიზაცია	ზოოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავა, პოლონეთი		(დოქტორანტი)	ზოოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავა, პოლონეთი	2021
8	ლემან-ჰაუპტის სადოქტორო სკოლა	ფოლქსვაგენის ფონდი		(დოქტორანტი)	გეტინგენის უნივერსიტეტი	
9	გარიელის კვლევა და კონსერვაცია საქართველოში	Conservation Leadership Programme (CLP)		(დოქტორანტი) მაგისტრანტები:	-	2022
10	ზოონოზური ინფექციების ატლასის მომზადება სამხრეთ კავკასიაში	HDTRA 1-19-1-0044		1 დოქტორანტი 2021-დან	-	2022
11	სათაფლია-წყალტუბოს მღვიმეების უხერხემლო ცხოველთა კონსერვაცია	Conservation Leadership Programme (“CLP”)		2 მაგისტრანტი	-	2022
12	წვრილი ძუძუმწოვრების დნმ-ბარკოდინგის მონაცემთა ბაზა და ფაუნის შემადგელობის დაზუსტება	შოთა რუსთაველის ფონდი FR -19 – 2295		მაგისტრანტი	-	2022
13	ფაუნის მრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა, სტატუსი და კონსერვაციის პრობლემები	სახელმწიფო სუფსიდიის მიზნობრივი გრანტი		8 მაგისტრანტი, 4 დოქტორანტი	-	2023
14	საქართველოს წითელი ნუსხისთვის მონაცემთა ბაზის მომზადება	GIZ		ჩართულია CaBOL პროექტში ჩართული სტუდენტები	GBIF, IUCN	2021